ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3876534

ნომერი: AR1576450

თარიღი : 10.02.2018

გაცემის თარიღი : 21.03.2018

გაცნობის თარიღი : 22.03.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , რაფაელ აგლაძის ქუჩა N47 ; ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ოთარ იაგორაშვილი პ/ნ 01017001188
- თბილისი დ.ჭონქაძის ქ. N 19/9

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 11 მარტის №1750331 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 10 თებერვლას AR1576450 განცხადებით მომართა მოქალაქე ოთარ იაგორაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2015 წლის 11 მარტის №1750331 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურმა შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 11 მარტის №1750331 ბრძანებით, ქალაქ თბილისში, სტანისლავსკის ქ N 12–ში (საკადასტრო კოდი: # 01.13.05.003.081;

ფართობი: 1894 კვ.მ.) საყოფაცხოვრებო მომსახურების ფარდულის აშენების მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამსენებლოდ გამოყენების პირობები.

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ახალი ამონაწერისა საკადასტრო გეგმის საფუძველზე ირკვევა, რომ მოხდა მიწის ნაკვეთის გამიჯვნა და შეიცვალა მიწის ნაკვეთის კონფიგურაცია, საკადასტრო კოდი და ფართობი, რაც საჭიროებს შესაბამისი ცვლილების ასახვას სამსახურის 2015 წლის 11 მარტის №1750331 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში.

წინამდებარე განაცხადით, მოთხოვნილია სამსახურის 2015 წლის 11 მარტის №1750331 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილბის შეტანა და საპროექტო ობიექტად მაღაზიის დაფიქსირება და ამავდროულად განახლებული საკადასტრო გეგმისა და მისი მონაცემების დაფიქსირება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილება შეიტანოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 11 მარტის №1750331 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 11 მარტის №1750331 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და საპროექტო ობიექტად დაფიქსირდეს: მაღაზია;
2. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 11 მარტის №1750331 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და დაფიქსირდეს: ახალი საკადასტრო გეგმა (რეგისტრაციის ნომერი: #892017155816, 04/12/2017 წ., საკადასტრო კოდი #01.13.05.003.142, ფართობი: 828 კვ.მ.) და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან: (რეგისტრაციის ნომერი #892017155816, რეგისტრაციის თარიღი 04/12/2017წ.);

3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 11 მარტის №1750331 ბრძანებასთან ერთად;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: შარტავას ქუჩა №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.